
ქობულეთის დაცული ტერიტორიების შექმნის მიზანი საერთაშორისო მნიშვნელობის მაღალი ღირებულებების მქონე ბუნებრივი მემკვიდრეობის, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი, რამსარის კონვენციით აღიარებული უნიკალური ჭარბტენიანი ეკოსისტემების გადარჩენა იყო.

1996 წლიდან, ქობულეთის დაცულ ტერიტორიას იცავს რამსარის კონვენცია, რომელიც მიზნად ისახავს მიგრირებად და წყალმცურავ ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვას. ის მნიშვნელოვანი ჰაბიტატებია გადამფრენი, მობუდარი და მოზამთრე წყლის ფრინველთა სახეობებისათვის.2021 წლიდან ქობულეთის დაცული ტერიტორიები UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები ერთ-ერთი გამორჩეული და უჩვეულო ჭარბტენიანი ადგილია დასავლეთ საქართველოში. აქ თქვენ შეგიძლიათ დააკვირდეთ გადამფრენ ფრინველებს სპეციალურად მოწყობილი კოშკურებიდან.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები მოიცავს ისპანი 1-ისა და ისპანი 2-ის სფაგნუმიან ტორფნარებს, სადაც გვხვდება ბორეალური სახეობები: სფაგნუმი ანუ თეთრი ხავსი და მწერიჭამია დროზერა.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები დაარსდა 1998 წელს. მისი ფართობია 782,7 ჰა. იგი ქობულეთის ზღვის სანაპიროდან 2 კმ-ში მდებარეობს.



ქობულეთი, აღმაშენებლის N271

+995 544 33 44 33

info@parks.ge

ქობულეთის დაცული ტერიტორიები / Kobuleti Protected Areas

საქართველოს ეროვნული პარკები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო

www.nationalparks.ge

ქობულეთის ეროვნული პარკი



ეკოტურიზმი

ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე სტუმრობა წლის ნებისმიერ დროს არის შესაძლებელი

ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე 2 მარტივი სირთულის საფეხმავლო მარშრუტია:

- „ისპანი 2“, მანძილი - 1 კმ, ხანგრძლივობა - 2 სთ
- „თეთრი ხავსი“ და “ დროზერა”, მანძილი - 1 კმ, ხანგრძლივობა - 2 სთ

საფეხმავლო მარშრუტზე ფრინველებზე დაკვირვებისა და საგანმანათლებლო-სამეცნიერო ტურების დროს შესაძლებელია ყვითელი და თეთრი დუმფარების, თეთრი ხავსის 4-მეტრიანი გუმბათების, მწერიჭამია დროზერასა და ჭაობის კუს ნახვა.

ქობულეთის დაცული ტერიტორიები განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობს ფრინველებზე დაკვირვების (birdwatching-ის) მოყვარულებში. აქვე შესაძლებელია ჭოგრიტების ქირაობაც. გადამფრენ ფრინველებზე დაკვირვებისათვის კი საუკეთესო პერიოდია გაზაფხული და შემოდგომა.





ბიომრავალფეროვნება

ქობულეთის დაცულ ტერიტორიებზე წარმოდგენილია ცოცხალი სფაგნუმიანი ტორფნარები, რელიქტური ტყეები ტორფიანი საფარველით, ტბები, ჭარბტენიანი ტერიტორიები, „წითელი ნუსხის“ სახეობები, ველური ხელუხლებელი ბუნება.

ტერიტორიები მნიშვნელოვანი საარსებო გარემოა გადამფრენი, მობუდარი და მოზამთრე წყლის ფრინველთა სახეობებისათვის. განსაკუთრებით საინტერესოა სფაგნუმი ანუ თეთრი ხავსი და მწერიჭამია დროზერა.

კოლხური ტყეები და ჭარბტენიანი ტერიტორიები გამოირჩევა მისი უნიკალური ეკოსისტემითა და მდიდარი ბიომრავალფეროვნებით რის საფუძველზეც, 2021 წლიდან, ქობულეთის დაცული ტერიტორიები, მტირალას, კოლხეთის და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებთან ერთად UNESCO-ს მსოფლიო ბუნებრივ მემკვიდრეობას წარმოადგენს.





ახლომდებარე ტურისტული ობიექტები

ფიჭვნარის ნაქალაქარი | ანტიკური პერიოდის ნაქალაქარი, მდებარეობს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მდინარე ჩოლოქის სამხრეთით, ზღვის სანაპიროზე. აქ “მონეტების” - “ფიჭვნარის განძია” აღმოჩენილი.

თეთროსანი | ისტორიული მონასტერი და კულტურული ცენტრი. აქ V-VI სს-ში განთავსებული იყო წმინდა გიორგის სამონასტრო კომპლექსი, სადაც ინახებოდა XVI ს-ში გადაწერილი „თეთროსნის დავითნი“. ძველი ტაძრის ნანგრევების მიმდებარედ XX-ს-ის 90-იან წლებში აშენდა ეკლესია.

ქობულეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი | 10 000-ზე მეტი სამუზეუმო ექსპონატია დაცული, რომლებიც წარმოადგენენ არქეოლოგიურ, ისტორიულ, ეთნოგრაფიულ თუ ბუნების წიაღში ნამარხ ნიმუშებს.

პეტრას ციხე | ისტორიული ციხე-ქალაქი. ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარეობს, სოფელ ციხისძირის ტერიტორიაზე. „პეტრა“ ამ ციხე-ქალაქის ბიზანტიური სახელწოდებაა, ხოლო „ქაჯეთის ციხე“ - ქართული. მდებარეობს შავი ზღვის სანაპიროზე, ზღვის დონიდან 440 მეტრზე, ქობულეთიდან 9 კმ-ში.

მელორ ვერულიძის სახლ-მუზეუმი | მხატვრის სახლი ქობულეთის ცენტრალურ პარკში მდებარეობს. აქ ინახება კერამიკული სუვენირების, 10 000 წლის ხის და ქვის ორნამენტები, რომლებიც ნაპოვნია ქობულეთისა და კინტრიშის დაცულ ტერიტორიებზე.

ღვინის სახლი „გვარა“ | რეწვის ნიმუშების საგამოფენო დარბაზით და ეთნოგრაფიული კუთხით. აქვე არსებულ სამუზეუმო კუთხეში ხიხანის ციხეზე აღმოჩენილი არქეოლოგიური მასალისა და ნივთების დათვალიერებაა შესაძლებელი. სტუმრებს საშუალება აქვთ გაეცნონ, დააგემოვნონ და შეიძინონ საქართველოში წარმოებული ღვინო.